



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY



KA080122752097615

საქართველო, თბილისი 0144, რიჩარდ ჰოლბროუკის ქ. N8 ტელ: (+99532) 2 242248, Richard Holbrooke str., Tbilisi 0144, Georgia
www.procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge. tel: (+99532) 2242248

1405

27 / მარტი / 2015 წ.

IDFI ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
მის:ქ. თბილისი 0108 ალ.გრიბოედოვის ქ.
N3

ბატონო გიორგი,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2015 წლის 16 მარტს წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 11 მარტის
№ OPD03/15-091 წერილის შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას:

1. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით (იხ. დანართი #1);
2. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით (იხ. დანართი #1);
3. 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით (იხ. დანართი #1);
4. 2014 წელს თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით (იხ. დანართი #1);
5. 2014 წელს ხელმძღვანელზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები (იხ. დანართი #2);
6. 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის და ადგილის მითითებით) (იხ. დანართი #3);
7. 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები (იხ. დანართი #4);
8. 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით (იხ. დანართი #5);
9. 2014 წელს სააგენტოში არ განხორციელებულა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა;
10. 2015 წელს სააგენტოში არ განხორციელებულა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა და არც ამ ეტაპზე არსებობს ასეთი გარემოებები;
11. 2014 წელს სააგენტოში არ განხორციელებულა ავტომობილების შესყიდვა;
12. 2014 წელს სააგენტოში არ განხორციელებულა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლება;
13. 2014 წელს სააგენტოში არ განხორციელებულა აუდიტორული შემოწმება;
14. დღეის მდგომარეობით, შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე თანამშრომელთა (ცალ-ცალკე)

რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა); შტატით გათვალისწინებული: ქალი - 31; მამაკაცი - 25; შტატგარეშე: ქალი - 3; მამაკაცი - 8;

15. დღეის მდგომარეობით ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულია რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა); შტატით გათვალისწინებული: ქალი - 7; მამაკაცი - 9;

16. 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით (დანართი #6);

17. 2013-2014 წლებში დასაქმებული და განთავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია (დანართი #7).

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე